ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 4

ქ.ლანჩხუთი. **25.03.2026 წელი**
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: ვლადიმერ ნანაძე, სამსონ კვაჭაძე, გიორგი იმნაიშვილი, კარლო კვიტაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: მაია ლომთაძე, გოგი მორჩილაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე კომისიის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II ხსოვნას.

კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: \ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. მისივე განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, იგეგმება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საერთო და სპეციალური ფასიანი პარკირების ადგილების მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება სათანადო საგზაო და საინფორმაციო ნიშნები. მერია, პარკირების სფეროს მართვას განახორციელებს, მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის, კერძოდ შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ 433655822) მეშვეობით. მუნიციპალიტეტს, ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ესაჭიროება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესი, სადაც გაწერილი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო და სპეციალური ადგილები და მათი სარგებლობის საფასური, ზონისა და დროის მონაკვეთების მიხედვით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საფასური, ზონისა და დროის მონაკვეთების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) ტაქსებისთვის თვეში 30 ლარი.

ბ) მსუბუქ ავტომობილებზე წელიწადში საფასური 30 ლარს შეადგენს.

განსხვავებული ფასი ექნებათ სატვირთო ავტომობილებსა და სპეცტექნიკას, ასევე საინკასაციო მომსახურების ავტომობილებს. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობს შტატი-პარკინგის ოპერატორი, რომლის ფუნქცია-მოვალეობას ავტომობილების აღრიცხვა-კონტროლი წარმოადგენს (სახელმწიფო ნომრით). იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს არ დაუფიქსირდა საშვი ან ქვითარი, მას შეუძლია მძღოლი დააჯარიმოს. პარკირების საფასურის გადახდა მოქალაქეებს შეეძლებათ Pay აპარატების საშუალებით.

დეპუტატი ვლადიმერ ნანაძე დაინტერესდა თუ როგორ განხორციელდებოდა პარკირების საკითხი ე.წ. გამვლელ ავტომობილებზე, რაზეც ვარდენ კვაჭაძემ განმარტა, რომ ნებისმიერ ავტომობილს შეუძლია აიღოს საშვი საათობრივად, ისევე როგორც ეს ხორციელდება დიდ ქალაქებში მაგ: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ა.შ.

დეპუტატი კარლო კვიტაიშვილი დაინტერესდა სულ რამდენი ლოკაცია იყო გამოყოფილი პარკირების კუთხით, რაზეც ვარდენ კვაჭაძემ განმარტა, რომ სულ არის 16 ლოკაცია, რომლებიც დარეგისტრირების შედეგად იქნა დაყოფილი. სამი ლოკაცია შეიძლება იყოს ყოფილი სასტუმროს შენობის მიმდებარედ. დეპუტატი კარლო კვიტაიშვილი ასევე დაინტერესდა შშმ პირთან დაკავშირებით, რაზეც ვარდენ კვაჭაძემ განმარტა, რომ შშმ პირები თავისუფლდებიან ყველანაირი საფასურიდან.

დეპუტატი ზაზა წულაძე დაინტერესდა ,,C" ზონის საზღვრებში პარკირების უფასო რეჟიმთან დაკავშირებით, რაზეც ვარდენ კვაჭაძემ განმარტა, რომ ქ.ლანჩხუთში მორჩილაძისა და

ზენაიშვილის ქუჩები C კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც ავტომობილების განთავსება უფასო იქნება, ვინაიდან აღნიშნული ტეროტორია არ არის ცენტრალური ადგილი. **კომისიის თავმჯდომარეს ზაზა წულაძეს** მართებულად მიაჩნია, რომ „C“ ზონა პარკირების უფასო რეჟიმი დამატებული იქნას აგარაკის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი ასევე დაინტერედა ერთ ლოკაციაზე შშმ პირზე თუ რამდენი ადგილი იყო განსაზღვრული, რაზეც ვარდენ კვაჭაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ყოფილი „უნივერმაღის“ მოპირდაპირედ მდებარე პარკინგზე შშმ პირებისთვის ორი ადგილია გამოყოფილი.

ვარდენ კვაჭაძის განმარტებით, პარკირების საკითხთან დაკავშირებით ფასები მინიმალური იქნა აღებული და უკმაყოფილება არ უნდა გამოიწვიოს მოსახლეობაში.
დეპუტატმა კარლო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქში ტაქსების ოთხი ლოკაციაა:
- N1 საჯარო სკოლა,
- ქურიძეების მაღაზია,
- ლიბრეს და აჯანყებული გურულის ძეგლის უკან ტერიტორია,
- ცენტრალური ტერიტორია. მისი თქმით, ტაქსის გადასახადი თვეში 30 ლარია. ტაქსები არის ლიცენზიის გარეშე, მაგრამ პარკირების გადასახადი ამ საკითხს ეტაპობრივად დარეგულირებს.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია თვლის, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარულების პროექტში წარმოდგენილი ფასები მისაღები უნდა იყოს მოქალაქეთათვის.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
წარმოდგენილი პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №4

25.03.2026 წელი
11:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: \ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.03. 2026 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი		ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	10 [illegible]	[illegible]
2	გიორგი იმნაიშვილი	10 57	[illegible]
3	ვლადიმერ ნანაძე	10 58	[illegible]
4	მაია ლომთაძე	არ ესწრებოდა	[illegible]
5	სამსონ კვაჭაძე	10 56	[illegible]
6	გოგი მორჩილაძე	არ ესწრებოდა	[illegible]
7	კარლო კვიტაიშვილი	10 05	[illegible]
8	თორნიკე მითაიშვილი	არ ესწრებოდა	[illegible]
9	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	[illegible]